ა რ ქ ი ვ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 8–9 (21–22) მაისი–ივნისი 1949 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი.

75. საქართველოს სსრ აბაშის რაიონის ნაესაკაოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

76. „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების“ დამატების შესახებ.

77. საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის აბასთუმნის სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და აბასთუმნის სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ.

78. „საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის“ ორდენის სტატუტის ზოგიერთი მუხლის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

79. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

80. ახმეტის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობის შესახებ.

81. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $139^{1}$—მუხლის შეცვლის შესახებ

82. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა შესახებ.

საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი.

**75. საქართველოს სსრ აბაშის რაიონის ნაესაკოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიული ცვლილების შესახებ.**

გამოეყოს აბაშის რაიონის ნაესაკოს სასოფლო საბჭოს სოფლები: ცილორი, ტყვირი და შეიქმნას მათგან ტყვირის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ტყვირში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 4 მაისი.

**76 „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების“ დამატების შესახებ.**

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წ. 20 აპრილის ბრძანებულებისა „ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარი ექიმებისათვის საპატიო წოდებათა შესახებ“, დაემატოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 25 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების“ 1 მუხლს პუნქტი „თ“ შემდეგი შინაარსისა:

„თ) საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის წოდება ან საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების საქმეში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 5 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**77. საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის აბასთუმნის სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და აბასთუმნის სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ.**

გამოეყოს ადიგენის რაიონის აბასთუმნის სასოფლო საბჭოს დაბა აბასთუმანი და შეიქმნას აბასთუმნის სადაბო საბჭო ცენტრით დაბა აბასთუმანში.

გაუქმდეს ადიგენის რაიონის აბასთუმნის სასოფლო საბჭო, მიეკუთვნოს სოფლები აბასთუმანი და სალრძე ამავე რაიონის ვარხანის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 18 მაისი.

**78. „საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის“ ორდენის სტატუტის ზოგიერთი მუხლის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.**

„სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 10 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად, ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1948 წ. 1 იანვრიდან 13 და 14 მუხლები „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენის სტატუტისა, რომელიც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1931 წ. 31 დეკემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 7, მუხ. 54).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 2 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**79. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის ამხანაგ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ სახელის მიკუთვნების შესახებ.**

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა შუამდგომლობა და მიეკუთვნოს სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 6 ივნისი.

**80. ახმეტის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობის შესახებ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახმეტის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, განათლების რაიონულმა ორგანოებმა და სკოლებმა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განსახორციელებლად მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულეს.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის სწარმოებს 7—15 წლის ბავშვთა აღრიცხვა სკოლის გარეთ დარჩენილთა გამოვლინებისა და სკოლაში ჩაბმისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პერიოდულად ისმენენ მოხსენებებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობაზე და სახავენ ღონისძიებებს ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამასთანავე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახმეტისა და წალენჯიხის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეს ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანება.

ასე მაგალითად: ახმეტის რაიონში 1948—49 სასწავლო წელს აღრიცხული 6.158 ბავშვიდან სკოლაში არ სწავლობს—522, მათგან არა საპატიო მიზეზით—454. წალენჯიხის რაიონში იმავე სასწავლო წელს აღრიცხული სკოლის ასაკის 5.527 ბავშვიდან არ სწავლობს 92, მათ შორის არასაპატიო მიზეზით—50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1948—49 წლის განმავლობაში ახმეტის რაიონის ჯოყოლოს რვაწლიან სკოლაში უმიზეზოდ მიატოვა სწავლა 15 მოსწავლემ (13,5%), კოჯრის დაწყებით სკოლაში—6 (12,5%), ოსიაურის რვაწლიან სკოლაში—12 (7,3%), დუისის საშუალო სკოლაში—19 (4,7%), ხოლო წალენჯიხის რაიონის ცენტრის—წალენჯიხის საშუალო სკოლიდან უმიზეზოდ წავიდა 13 მოსწავლე (2,5%) და ობუჯის საშუალო სკოლიდან—7 (2,8%).

არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი დირექტორთან შეუთანხმებლად სკოლიდან ათავისუფლებს მოსწავლეს მშობელთა პირადი თხოვნით (წალენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯის საშუალო სკოლის I და II კლასის მასწავლებლებმა მიმდინარე სასწავლო წელს გაათავისუფლეს სკოლიდან 3 მოსწავლე).

ახმეტის რაიონის სოფლებში (დუისი, კოჯორი, ოსიაური და ჯოყოლო) და წალენჯიხის რაიონის სოფლებში (წალენჯიხა, ობუჯი და სხვ.) არის შემთხვევები, როდესაც მშობლებს ბავშვები სკოლიდან გამოჰყავთ მათი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გამოყენების მოტივით. სკოლების დირექტორები და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომები კი ასეთ მშობელთა მიმართ არ იღებენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

ახმეტისა და წალენჯიხის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების სახალხო განათლების და კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისიები საჭირო მუშაობას არ ეწევიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი მოსწავლეებს აძლევს „აკადემიურ შვებულებას", რაც სინამდვილეში ნიშნავს მოსწავლის სკოლიდან უმიზეზოდ წასვლის დაფარვას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ახმეტის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) სისტემატურად მოისმინონ საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობის საკითხი და მიიღონ სათანადო ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად,

ბ) გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით მთიანი სოფლების მოსახლეობაში, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების მნიშვნელობის შესახებ და მიაღწიონ მშობლების მიერ მოსწავლეთა სკოლიდან უმიზეზოდ გაყვანის შემთხვევების ლიკვიდაციას,

გ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში ჩააბან მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისიები, აგრეთვე სოფლის აქტივი და უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების გატარება სკოლის ასაკის ყველა ბავშვის მიმართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გააუმჯობესონ განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისათვის და მათი საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაში ჩაბმისათვის,

ე) მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უშლიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას, არ გზავნიან სკოლაში ბავშვებს ან გამოჰყავთ ისინი სკოლიდან არასაპატიო მიზეზით,

ვ) აღმოუჩინონ საჭირო დახმარება უდედმამო ბავშვებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონით გათვალისწინებული განათლების მიღებაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. ვ. დ. კუპრაძეს—გააძლიეროს კონტროლი რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე, სისტემატურად შეამოწმოს ცალკეულ რაიონებში ამ კანონის გატარების მდგომარეობა და მიიღოს ეფექტური ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაში სკოლის ასაკის ყველა ბავშვის ჩასაბმელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 15 ივნისი.

## 81. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $139^1$ მუხლის შეცვლის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 19 მაისის ბრძანებულებისა „მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების საქმის გაუმჯობესებისა და ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $139^1$ მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„$139^1$. ორსულობის მოტივით სამუშაოდ ქალის მიღებაზე უარის თქმა ან მეძუძური დედის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა და მათთვის ამ მოტივით სამუშაო ხელფასის შემცირება ისჯება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად —

შრომა-გასწორების მუშაობით ექვს თვემდე ან ჯარიმით ათას მანეთამდე,

ხოლო განმეორებისათვის სასჯელი შეიძლება გადიდებულ იქნას ორი წლით თავისუფლების აღკვეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 15 ივნისი.

**82. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა შესახებ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაშვებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა მოვალეობის ასასრულებლად:

გაბიანი რაფიელ ნესტორის-ძე,
თოთაძე ვლადიმერ ივანეს-ძე,
მგალობლიშვილი ტიტე ბეგლარის-ძე,
მეტრეველი გრიგოლ სტეფანეს-ძე,
ჩიქოვანი ილარიონ ამბროსის-ძე,
ჭაბუკიანი ლუარსაბ ილარიონის-ძე,
ჯოლბორდი ვასილ სტეფანეს-ძე.

2. ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 15 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობები

## მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭება

I. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებით „გმირი დედის" საპატიო წოდება მიენიჭათ და „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი გადაეცათ დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. **ბოთერაშვილს** რუტო აბრამის ასულს – დიასახლისს, საქართველოს სსრ სამტრედიის რაიონის სოფ. კულაში;

2. **გაგლოევას** მარიამ ჯიკოს ასულს—კოლმეურნეს, საქართველოს სსრ ჯავის რაიონის სოფ. ვანელი;

3. **ზადიკიანს** გადარ მგრდიჩის ასულს—კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის სოფ. ხაშუპსა;

4. **ზახეევას** სოფიო კალმანის ასულს—საქართველოს სსრ ჯავის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

5. **კურბანოვას** ინჟი მადატის ასულს—კოლმეურნეს, საქართველოს სსრ ლაგოდეხის რაიონის სოფ. კაბალი;

6. **მამულაძეს** ნაზენი ქერემის ასულს—კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. თხილვანა;

7. **მირილაშვილს** თამარ ელოს ასულს – დიასახლისს, საქართველოს სსრ სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშში;

8. **მიხელაშვილს** სიმხა ეფრემის ასულს—დიასახლისს, საქართველოს სსრ სამტრედიის რაიონის სოფ. კულაში;

9. **მჟავანაძეს** რუხსეტ კეიდის ასულს—კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფ. ახალსოფელი;

10. **მოსოიანს** სირანუშ ნერსესის ასულს—საქართველოს სსრ ახალქალაქის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

11. **პეტროსიანს** ფლორა თოროსის ასულს—კოლმეურნეს, საქართველოს სსრ ახალქალაქის რაიონის სოფ. ოლოვერდი;

12. **საარიანს** არფენიკ ოგანესის ასულს – დიასახლისს, საქართველოს სსრ ქ. ახალქალაქი;

13- **სალამოვას** ნადეჟდა ადამის ასულს—საქართველოს სსრ ლენინგორიი რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



14. **ტეგეტაევას** ირინა კაზბოს ასულს—საქართველოს სსრ ლენინგორის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

15. **ფიფიას** ანეტა ევტიხის ასულს—დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბა;

16. **შავაძეს** ხურიე ეზიზის ასულს—აჭარის ასსრ ხულოს რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

17. **წითელაძეს** ზელიხე ემინის ასულს—კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფ. ინაშარიძეები;

18. **ხარაიშვილს** ნატალია ვასილის ასულს—საქართველოს სსრ საჩხერის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

II. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 10 მაისის ბრძანებულებით „გმირი დედის“ საპატიო წოდება მიენიჭა „გმირი დედის“ ორდენისა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელის გადაცემით:

1. **ბედოევას** თალიკო ივანეს ასულს—საქართველოს სსრ ლენინგორის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

2. **გერგაიას** თამარ სიმონის ასულს—დიასახლისს, საქართველოს სსრ ხობის რაიონის სოფ. ხობი;

3. **გუჩაშვილს** ანა ბეგოს ასულს—საქართველოს სსრ გორის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

4. **გიური** ალხაზ კიზის—კოლმეურნეს, საქართველოს სსრ დმანისის რაიონის სოფ. ამამლო;

5. **დუმბაძეს** ასლი სულეიმანის ასულს—აჭარის ასსრ ხულოს რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

6. **ზაპოლსკაიას** ელისაბედ ივანეს ასულს—მოსამსახურეს, აფხაზეთის ასსრ ქალაქი სოხუმი;

7. **ისმაილოვას** ანახანუმ გასან ყიზის—დიასახლისს, საქართველოს სსრ მარნეულის რაიონის სოფ. გიაურარხი;

8. **იჩმელიანს** ცალიკ კირაკოსის ასულს—კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის სოფ. ბალნარი;

9. **კუკულიანს** ნუნიკ მანუკის ასულს—კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გულრიპშის რაიონის სოფ. აბლუხვარა.

10. **კუშჩიანს** სულთან ბარსელის ასულს—საქართველოს სსრ წალკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

11. **მანგურსუზიანს** მენტუი ალასერის ასულს—კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გულრიპშის რაიონის სოფ. ზემო გულრიპში;

12. **საგრიანს** სულთან ხაჩიკის ასულს—აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

13. **სოკუროვას** მელო სიმონის ასულს—საქართველოს სსრ ლენინგორის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

ეროვნული ბიბლიოთეკა



14. **სულაძეს** ოლღა გიგოს ასულს—კოლმეურნეს, საქართველოს სსსრ ამბროლაურის რაიონის სოფ. შუა-სხვავა;

15. **ტოტროვას** ლუბა დავითის ასულს—საქართველოს სსრ ჯავის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

16. **ქორთიაშვილს** ქეთევან გიორგის ასულს—კოლმეურნეს, საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფ. ზემო ახალსოფელი;

17. **ქუძეშვილს** მელო მიხეილის ასულს—საქართველოს სსრ გორის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

18. **ღლაიშვილს** ხაჯერ რეჯების ასულს—აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

19. **ძაგნიძეს** ანთისა დავითის ასულს—კოლმეურნეს, საქართველოს სსრ ვანის რაიონის სოფ. სალხინო;

20. **ხიბლიშვილს** ტასო ზაქარიას ასულს—საქართველოს ლენინგორის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს;

21. **ხომასურიძეს** მარიამ თევდორეს ასულს—კოლმეურნეს, საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფ. აძვი;

22. **ხუფვენიას** მოკონა დომენტის ასულს—კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფ. ოტობაია;

23. **ხურციას** ალექსანდრა გიორგის ასულს—კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფ. გაგიდა.

## დაჯილდოებულ მრავალშვილიან დედათა რიცხვი საქართველოს სსრ-ში

იმის შემდეგ, რაც გამოიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულება „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების შემოღებისა და „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ მედლების დაწესების შესახებ“, და 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულება „გმირი დედის“ საპატიო წოდების დებულების, „სახელოვანი დედის“ I, II და III ხარისხის ორდენის და „დედობის მედლის“ I და II ხარისხის მედლის სტატუტისა, დებულებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ“, 1949 წლის 1 ივლისამდე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით „გმირი დედის“ საპატიო წოდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მიენიჭა სულ 581 მრავალშვილიან დედას, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი.

იმავე დროის განმავლობაში საქართველოს სსრ-ში, აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის გამოკლებით, დაჯილდოვდნენ: „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენით 1009 დედა, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 9 შვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით—2895 დედა, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 8 შვილი, „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენით—6891 დედა, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 7 შვილი; „დედების მედლის“ I ხარისხის მედლით—10944 დედა, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 6 შვილი, „დედების მედლის“ II ხარისხის მედლით“—20988 დედა, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 5 შვილი. სულ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული—42727 მრავალშვილიანი დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

Ведомости Верховного Совета
Грузинской Советской Социалистической Республики
№ 8—9 (21—22) май—июнь 1949 г.
(на грузинском языке)

ИЗДАНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГССР

ფასი 1 მ. და 50 კაპ.

სტამბის შეკვ. № 885 ტირაჟი 2100 უე 05256

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти“ им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 14.